



# შირაქი

## SHIRAKI

გაგონის 1937 წლიდან

დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (10.071)  
6-13 მაისი 2023 წელი  
ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირული გამოცემა



## „თუ გაუჭირდა საგოგლოს, კვლავ ცხხლით დავიდაგებით“...

**2023 წლის მაისია. მზე აღმაცერ სხივებს ჰფენს შინმოუსვლელთა საფლავებსა და მემორიალებს, რომელსაც იმ ადამიანების სახელები და გვარები შემოუნახავს, მეორე მსოფლიო ომს რომ შეეწირნენ.**

„სამშობლოსათვის, სტალინისათვის“-ეს საყოველთაო მოწოდება იყო, რომლის ირგვლივაც გაერთიანდა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა უზარმაზარი არმია, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა... ამ ერთიანობამ შედეგი გამოიღო, თუმცა, დიდი ადამიანური რესურსი დაიკარგა, ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაეცა ბრძოლის ველზე.

საქართველოდან ბევრი ღიმილის ბიჭი წავიდა, უწვერულვამო საჯიშე ვაჟკაცები. მათ შორის ნიჭიერი პოეტები, რომლებიც შეუერთდნენ ღიმილის ბიჭების მრავალათასიან არმიას.

ფრონტიდან, მაგრამ „სიცოცხლით მოთამაშე“ პოეტს შინ დაბრუნება არ ეწერა. 1944 წელს ბელორუსში, მდინარე დვინის გადაღახვის დროს დაიღუპა. მაშინ მირზა 27 წლის იყო...

„თუ მტერმა დაძვრეს ხმალოგაზარულმა, დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად. რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“-ეს სევდრიანი ისიანია, კიდევ ერთი პოეტი, რომელმაც საკუთარი აღსასრული იწინასწარმეტყველა...

ომში დაეცა დედოფლისწყაროს მკვიდრი, პოეტი დავით პატატიშვილიც. მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა დავით პატატიშვილის ლექსების კრებული „გული და ქარიშხალი“. პოეტის სახელს ატარებს მშობლიური სოფლის-არბოშიკის სკოლა და დედოფლისწყაროს ერთ-ერთი ქუჩა, სკოლაში დგას მისი ბიუსტი.

საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში 700000 ადამიანი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა. დაბრუნებულთაგან ყველას, ვინც გერმანელების ტყვეობას თავი დააღწია, - საკმაოდ ბევრს კი ოჯახებთან ერთად, - გადასახლებაში ცხოვრება მოუხდა. ომისა და ომის შემდგომი პერიოდის ამ სა-

შინელებას გამოვლილები ბევრნი აღარ არიან. ამ ადამიანებს ცხოვრების დიდი ნაწილი საბჭოთა სინამდვილეში დარჩათ, ტოტალიტარულ ეპოქაში, რომელმაც სტალინისა და სამშობლოსთვის მსხვერპლის გაღება უკარნახა და გააღებინა კიდევ - გმირულად, გულწრფელად, რწმენით, რომ საკუთარ სამშობლოს, საკუთარ ოჯახებს იცავდნენ.

მეორე მსოფლიო ომში, როცა ერთმანეთს ორი ბოროტება ებრძოდა, საქართველომ, სტალინის სამშობლომ, პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. ომის ვეტერანებისთვის 9 მაისი უწინდებური დღესასწაულია, თუმცა ეს დღე საქართველოში ძველბურთი პომპეზურობით კარგა ხანია აღარ აღინიშნება, რადგან ვეტერანთა რიცხვი ნელ-ნელა მცირდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი 9 მაისს ერთი ომის ვეტერანი ხვდება.

დედოფლისწყაროს შინმოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაცია, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით გამოცხადდა, უკვე დაიწყო.

### ნაადრევი ქორწინება, როგორც პრობლემა



„მე არ ვარ ნივთი, რომელსაც მამინაილებენ და ნათურვენი, როცა მოუნდებათ. გთხოვთ დამიცავით!“ - ეს არის 15 წლის გოგონას სიტყვები, რომელიც საკუთარი ეზოდან გაიტაცეს და იძულებითი ქორწინების მსხვერპლი გახდა.

ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, ოცდამეერთე საუკუნეში ნაადრევი ქორწინება კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. ყველაზე მძიმე ვითარება ამ მხრივ საქართველოს რეგიონებშია. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს რეგიონებში ყოველი მეოთხე არასრულწლოვანი ქორწინდება, ხოლო ქორწინება ძირითად შემთხვევაში იძულებით ხდება.

ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა დედოფლისწყაროში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით. საინფორმაციო შეხვედრას უძღვებოდა თამარ აბულაძე. შეხვედრაზე აქტიურობდნენ ახალგაზრდები, რომელთა ძირითად ნაწილს გოგონები შეადგენდნენ.

საქართველოში არსებულ გამოწვევებზე და ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებულ რისკებზე ისაუბრეს მონაწილემა კომპეტენტურმა პირებმა: მეან-გინეკოლოგმა ნათელა თამაზაშვილმა, ენდოკრინოლოგმა მარინე მებრძოლიძემ, სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ვასილ სვიმონიშვილმა, ფსიქოლოგმა ირინა ფიროსმანაშვილმა, სოციალური სამსახურის თანამშრომელმა ლალი ზურაშვილმა.

რას აზრობს კანონი?

/გაგრძელება გვ.4/

### საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ორბანს შეხვდა

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიური კონფერენციის (CPAC) ჩატარების მიზნებისა. ხაზი გაესვა კონფერენციაზე გაუფრთხილებლად განვიხილავს, რომელთა უმრავლესობა არაერთი ქვეყნისთვის საერთო ღირებულებებს წარმოადგენს. განიხილეს საქართველო-უნგრეთის შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები ვაჭრობის, ინვესტიციების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის სფეროებში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო უნგრეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერებისთვის არსებული პოტენციალის სრულად რეალიზების მიზნის

ერთგული რჩება. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა. აღინიშნა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიანიჭებასთან დაკავშირებით უნგრეთის მხარდამჭერი განცხადებების მნიშვნელობა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია და მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, საქართველო კანდიდატის სტატუსს იმსახურებს, რომელსაც ქვეყანა წლის ბოლოსათვის ელოდება. შეხვედრის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილისა და საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის სახელით, სამუშაო სადღილი გამართა.

### ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონია

სერია A-ს 33-ე ტურში „ნაპოლი“ „უდინეზეს“ ესტუმრა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა და „პარტენოპეის“ სკუდეტოს გამარჯვებული ისტორიაში მესამედ გახდა.

„პარტენოპეის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხვიჩა კვარაცხელიამ მოედანზე 86 წუთი გაატარა, ქართველი ირვინ ლოსანომ შეცვალა.

შეგახსენებთ, ხვიჩა კვარაცხელიამ მიმდინარე სეზონში „ნაპოლის“ მაისურით 37 მატჩი გამართა, თავი კი 14 გატანილი გოლითა და ამდენივე საგოლე პასით გამოიჩინა.

### ლაშა ბექაურის სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაგრძელებული ინფორმაციით, არხილოსკალოში ლაშა ბექაურის სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს.

აქტიურ ფაზაშია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში ლაშა ბექაურის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ქვეყნის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის მონერსივება რეგიონის ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, - აღნიშნავს დავით ტაბატაძე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, დავით ტაბიძემ და დირექტორის პირველმა მოადგილემ, გიორგი ციბაძემ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტს, უფვის 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში, „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ მიმდინარეობის ანგარიში წარუდგინეს. მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, საქართველოში

უფვის 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ღირსეულად ჩასატარებლად, მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2022 წელს თბილისში, ქუთაისში, წყალტუბოში, ქობულეთსა და ბათუმში, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია დაიწყო. „ჩემპიონატისათვის, საერთო ჯამში, 10 სპორტული ინფრასტრუქტურული ობიექტი რეაბილიტირდება და მოენწყობა. მათ შორისაა, თბილისში მიხეილ მესხის სახელობისა და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონები, წყალტუბოს, ქობულეთის, ბათუმის სათადარიგო სტადიონები და ტექნიკური სანვრთელი ბაზები.

პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 100 მილიონი ლარია. სტადიონების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები UEFA-ს ჩართულობითა და მონიტორინგით მიმდინარეობს. გარდა ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი, ქვეყნის მასშტაბით, არა ერთ სპორტულ კომპლექსსა და სტადიონს ამენებს. მათ შორის, დასრულების ეტაპზეა ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის და რუსთავის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

## ევროპის იმუნიზაციის კვირეული დედოფლისწყაროში

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2023 წლის 24-29 აპრილის პერიოდში მსოფლიოში იმუნიზაციის კვირეულად გამოაცხადა. საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვა და სხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

იმუნიზაციის კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ და მართვადი ინფექციების აღმოფხვრა ვაქცინაციის საშუალებით. საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად (სმუჯის მინისტრის ბრძანება №01-60/6 16.09.2019წ). იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინების შესყიდვას და 13 დაავადების (ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, დიფთერია, ყივანაზველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი,

ტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ, ნითელა, ნითურა, ყბაყურა, როტა ვირუსული და პნევმოკოკური, პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო, ინფექციები) საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაფინანსებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში 2000 წლიდან დღემდე დაინერგა 7 ახალი ვაქცინა. მათ შორის საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით 10-26 წლის ასაკამდე გოგონების ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. 10-15 წლის ჩათვლით ორჯერადად და 15-26 წლის ჩათვლით სამჯერადად ვაქცინაცია.

მსოფლიოში იმუნიზაციის პროგრამების ფართომასშტაბიანი განხორციელების შედეგად მკვეთრად შემცირდა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებით ავადობა და სიკვდილიანობა.

- მსოფლიოში ბავშვთა მოსახლეობის ტუბერკულოზის, პოლიომიელიტის, დიფთერიის, ტეტანუსის, ნითელას, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციით გადარჩეულია მილიონობით სიცოცხლე.

- ვაქცინაციის საშუალებით 2000-2023 წლების განმავლობაში ნითელაით გარდაცვალების შემთხვევები შემცირდა 84%-ით.

- 2022 წელს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ნითელა-ნითურა-ყბაყურის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის პროცენტული



მაჩვენებელია 100%, 5 წლამდე ასაკის-96% -2000-2023 წლების პერიოდში პროცენტული შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 99%-ით.

- როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა დაინერგა 90 ქვეყანაში, 2022წლის მონაცემით დედოფლისწყაროში მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა 53%;

- პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა დაინერგა 134 ქვეყანაში, 2022 წლის მონაცემით დედოფლისწყაროში მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა 77%.

ვაქცინირებული ბავშვების მაღალი % მოცვა დაავადების აღმოფხვრის ერთერთი საშუალებაა, ამიტომ კიდევ ერთხელ ვთხოვთ მშობლებს ნუ დატოვებთ შვილებს აცრების გარეშე. გახსოვდეთ, რომ იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი - სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩაუტაროთ აცრების კურსი! ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისგან, რომლის საწინააღმდეგოდ ჩაუტარდა აცრები.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება. ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მარიატა მუ-

ნაშვილის ინფორმაციით, „იმუნიზაციის კვირეულის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები: შეხვედრა ჯანდაცვის სპეციალისტებთან, ამბულატორიისა და შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ექიმებთან, აცრებზე ნეგატიურად განწყობილ მშობლებთან. კვირის განმავლობაში ხალხმრავალ ადგილებში დარიგდა იმუნიზაციის ბუკლეტები, გაიკრა პლაკატი. იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში აქტიურად იყენებ პირველადი ჯანდაცვის ექიმები, ჩატარეს პროფილაქტიკური აცრები, ესაუბრნენ მშობლებს და მოზარდებს დროული ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, ბავშვთა ინფექციურ დაავადებებზე, აცრის შემდგომ რეაქციებზე და მათ მიზანი იყო, შეგვეხსენებინა მოსახლეობისთვის: ვაქცინები მოქმედებს!“

ვაქცინები მოქმედებს! აცარი და დაცვი! ვაქცინაცია დაცვის ერთადერთი საშუალებაა! შეაჩერე ინფექციური დაავადებების გავრცელება! აცარი და დაცვი!

არ გადადო, აცარი!







# დედოფლისწყაროელ პედაგოგებს სტატუსი აუმაღლდათ

რამდენიმე დღის წინ სასიხარულო ინფორმაცია გავრცელდა დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის წარმატებული პედაგოგების შესახებ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი ამილახვარის ბრძანებით, ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, თეონა ლონდაძესა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ეკა სეფიაშვილს მიენიჭათ მენტორ მასწავლებლის სტატუსი.

ჟურნალისტთა კლუბმა „ახალი თაობა“ გადაწყვიტა, პერსონალურად მიელოცა და ინტერვიუ ჩაენერა მასწავლებლებთან, რომლებმაც ეს სტატუსი დაიმსახურეს.

„ჩემთვის სტატუსი გასმაგებული ზასუსისმგებლობაა“...

- რამ შთაგაგონათ მასწავლებლობა? **ეკა სეფიაშვილი:** ბავშვების სიყვარულმა და მასწავლებლობის სურვილმა.
- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი გადამწყვეტილებით?
  - სრულიად.
  - რამდენი წელია, რაც ამ პროფესიას ემსახურებით?
    - 23 წელია
    - რა სირთულეები შეგხვდათ ამ პერიოდის განმავლობაში?
      - კონკრეტულ, სერიოზულ სირთულეებთან არ მქონია შეხება, რადგან ყოველთვის ადვილად ვამყარებ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან, დაუბრკოლებლად ვიღებ სიახლეებს განათლების მიმართულებით და ვცდილობ, გავუმკვლავდე ნებისმიერ გამოწვევას.
      - რას ნიშნავს თქვენთვის მენტორის სტატუსის მინიჭება?
        - ჩემთვის სტატუსი გასმაგებული პასუხისმგებლობაა, როგორც მოსწავლეების, ასევე კოლეგებისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიმართ. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით და, ასევე, ადგილობრივი თემის მიმართ.
        - გეგმათ თუ არა რაიმე სიახლეებს მომავლისთვის?
          - სასკოლო ცხოვრებაში ბევრ სიახლეს ვგეგმავ: მოსწავლეთა და მშობელთა მასიური ჩართულობის გაზრდას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ენობრივი ბარიერის დაძლევას.

ნიშნავს თანამშრომლობას, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ენობრივი ბარიერის დაძლევას.

„მასწავლებლობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო...“

- რამ შთაგაგონათ მასწავლებლობა? **თეონა ლონდაძე:** მასწავლებლობა იყო ჩემი ბავშვობის ოცნება. მე-4 კლასში, როცა მასწავლებელმა დაგვანერინა ჩვენი მოსაზრება, ვინ გვინდოდა გამოვსულიყავით სწორედ მაშინ დამინერია, რომ მინდოდა მასწავლებელი გამოვსულიყავი. მთელი ბავშვობა ვთამაშობდი მასწავლებლობას. მქონდა დახაზული ჟურნალი ნიღბი და ლურჯი კალმით.
- რამდენი წელია, რაც ამ პროფესიას ემსახურებით?
  - სკოლაში ვმუშაობ 2007 წლიდან, 16 წელია.
  - რა სირთულეები შეგხვდათ ამ პერიოდის განმავლობაში?
    - სკოლაში მოშაობის დაწყების დღიდან აქტიურად ვარ ჩართული კარიერული წინსვლის სქემში. 2013 წელს გავხდი უფროსი მასწავლებელი, 2019 წელს - ნამყვანი.
    - რას ნიშნავს თქვენთვის სტატუსის მინიჭება?
      - მენტორის სტატუსი არის ჩემთვის ერთგვარი მოტივაცია, რომ კიდევ განვითარდე, ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო ჩემს კოლეგებს, ვიყო მათი მოტივატორი. სტატუსის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს მოვახმარ ჩემი მოსწავლეების სწავლა-სწავლების განვითარებას.
      - შეიცვალა თუ არა თქვენი ხედვა სტატუსის მინიჭების შემდგომ, არსებული პრობლემების მიმართ?
        - სტატუსის მინიჭების შემდეგ არსებითად არ შეცვლილა ჩემი ხედვა და, ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია ყველა მასწავლებლის შრომის დაფასება.
        - ჩემი ინფორმაციით, თქვენ გაქვთ მკითხველთა კლუბი „პირველები“. რატომ გადაწყვიტეთ მკითხველთა კლუბის შექმნა და რა იყო თქვენი იდეის მიზანი?
          - ნიგნიერების სიყვარული მოზარდებში თითქოს იკლებს, ახალი თაობა ნაკლებად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას. მოსწავლეები ძირითადად სოციალური ქსელებიდან იღებენ ინფორმაციას. ყოველივე ეს კი მოქმედებს მოსწავლეების ნიგნიერების დონეზე. კლასში კითხვაც კი უჭირთ, ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, ჩემს კოლეგასთან ლია ქადაგიძესთან ურთიერთთანამშრომლობით შევქმენი „მკითხველთა კლუბი“. ვახორციელებთ საინტერესო აქტივობებს. კლუბის მიზანია, ნიგნიერების უნარების განვითარებას შევუწყოთ ხელი, ასევე არ გამოგვრჩეს გლობალურ თემებზე ყურადღების გამახვილება.

მასწავლებლობა უდიდეს ზასუსისმგებლობას, შრომასა და ენერჯის მოთხოვნას ნამდვილად დასაფასებელი და საამაუოა ის საქმიანობა, რასაც მასწავლებლები აკეთებენ. ისინი ზრუნავენ უამრავი ბავშვის განათლებასა და ინტელექტუალურ განვითარებაზე.



ლობს მხატვრულ ლიტერატურას. მოსწავლეები ძირითადად სოციალური ქსელებიდან იღებენ ინფორმაციას. ყოველივე ეს კი მოქმედებს მოსწავლეების ნიგნიერების დონეზე. კლასში კითხვაც კი უჭირთ, ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, ჩემს კოლეგასთან ლია ქადაგიძესთან ურთიერთთანამშრომლობით შევქმენი „მკითხველთა კლუბი“. ვახორციელებთ საინტერესო აქტივობებს. კლუბის მიზანია, ნიგნიერების უნარების განვითარებას შევუწყოთ ხელი, ასევე არ გამოგვრჩეს გლობალურ თემებზე ყურადღების გამახვილება.

ჟურნალისტთა კლუბი „ახალი თაობა“ სულითა და გულით ვულოცავთ მასწავლებლებს ამ დიდი შრომის დაფასებას, ვუსურვებთ მათ უფრო მეტ წარმატებას მომავალში!

ესაუბრა  
სალომე ლაპიაშვილი  
დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის  
ჟურნალისტთა კლუბის წევრი

## დედოფლისწყაროს კირქვის კარიერზე ბიობლიცი გაიმართა

18-19 აპრილს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს კირქვის კარიერზე, ილიას უნივერსიტეტის კაბოლის პროექტის და კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ერთობლივი ღონისძიება - ბიობლიცი გაიმართა. როგორც „ჰაიდელბერგცემენტში“ „შირაქს“ განუცხადეს, პროექტის მიზანი კარიერის ბიომრავალფეროვნების შესწავლა და დედოფლისწყაროს სკოლის მოსწავლეების ამ მიმართულებით დაინტერესება იყო.



ბიობლიცის ფარგლებში ილიაუნის მკვლევრები და „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ გარემოსდაცვის სპეციალისტები ადგილობრივ მოსწავლეებს სკოლაში ესტუმრნენ. სპეციალისტებმა ქალაქ დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ისაუბრეს ეკოლოგიაზე, ბიომრავალფეროვნებაზე, პროექტ CaBOL-სა და ბიობლიცის შესახებ. მკვლევრები და მოსწავლეები საველე კვლევების ჩასატარებლად ერთად ესტუმრნენ დედოფლისწყაროს კირქვის კარიერს და წიაღისეულის მოპოვების დეტალებს გაეცნენ.

„ბიობლიცის ფარგლებში შეგროვებული სინჯები ილიას უნივერსიტეტის კაბოლის პროექტს გადაეცა შემდგომი შესწავლისთვის. გარდა ამისა, დავამზადეთ პატარა სახლები მწერებისთვის (ე.წ. „მწერების სასტუმროები“) და კარიერის ტერიტორიაზე განვალაგეთ.“ - აღნიშნავენ პროექტის ორგანიზატორები.

**ანანო პიპაშვილი (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის 9<sup>ე</sup> კლასის მოსწავლე):** „პირველ დღეს კაბოლის წევრები გვესტუმრნენ სკოლაში და გვესაუბრნენ კარიერის ბიომრავალფეროვნებაზე. მეორე დღეს უკვე ჩვენ ვესტუმრეთ კარიერს ილიაუნის მკვლევრებთან ერთად. ჩავატარეთ საველე ექსპედიციები, მოვაგროვეთ სხვადასხვა საინტერესო მწერები,

ჩვენი ასაკის ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია მსგავს პროექტებში ჩართვა. უფრო მეტ ცოდნას და გამოცდილებას ვიღებთ. თბილისიდან ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებიც ჩამოვიდნენ. ჩვენი სკოლის დირექციის მხრიდან მოსწავლეებს გვექონდა ინფორმაცია, ამ ერთობლივი და ძალიან საინტერესო შეხვედრის შესახებ და მიხარია, რომ მონაწილეობა შევძელით.“

**ეკა არსენაშვილი (ილიაუნის მკვლევარი, CaBOL-ის საველე ექსპერტი):** „ჰაიდელბერგცემენტთან“ თანამშრომლობამ შესაძლებლობა მოგვცა, გავეცინო დედოფლისწყაროს სკოლის საოცარი მოსწავლეები და მათთან ერთად გვემუშავა ველზე, რაც დიდი გამოცდილება იყო ორივე მხარისთვის. რატომ დედოფლისწყარო? ეს რეგიონი საოცრად მრავალფეროვანია და ამ მრავალფეროვნების და სიმდიდრის შესახებ პირველ რიგში ამ რეგიონის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, რადგან, სწორედ ისინი უნდა იყვნენ პირველები, ვინც დაიცავს თქვენი რეგიონის და ჩვენი ქვეყნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ახალგაზრდებში ამ მუხტისა და ენერჯის ჩადება კი ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა!

ბიობლიცი არის შემეცნებითი ღონისძიება, რომელიც ორიენტირებულია მოკლე დროში კონკრეტულ ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი სახეობის აღმოჩენასა და იდენტიფიცირებაზე. BioBlitz-ზე მეცნიერები, მკვლევრები, სტუდენტები, მასწავლებლები, მოსწავლეები და საზოგადოების სხვა წევრები ერთად მუშაობენ, რათა მიიღონ ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების სურათი. ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ გეოგრაფიულ ადგილზე.

**CaBOL- (Caucasus Barcode Of Life)** კავკასიის სიცოცხლის ბარკოდირების პროექტში მონაწილე თითოეული ახალგაზრდა მეცნიერი მზადაა, ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას დაეხმაროს გარემოსდაცვით და ბუნების შესახებ მეტი ინფორმაციის გაგებაში. ჩვენ ახალგაზრდებს „სამოქალაქო მეცნიერის“ მნიშვნელობა გავაცანით, რითაც ვაჩვენებთ რომ სამეცნიერო მნიშვნელობის მონაცემის შეგროვება ყველა მოხალისეს შეუძლია. ამ საკითხში საოცარად იყოჩაღეს დედოფლისწყაროს სკოლის მოსწავლეებმა!“

ილია მარტყოფლიშვილი







# ფრისტაილარობიდან-მოდელობამდე



**პროექტ „ნიჭიერის“ დედოფლისწავროელი მონაწილე, ფრისტაილერი ილია ცოფურიშვილი საზოგადოების წინაშე ახალ ამბულაში გამოჩნდა. მისგან ძირითადად რთულ აკრობატულ ილეთებს ვხვდებით და სოციალურ ქსელშიც მის მიერ შესრულებული საკმაოდ რთული მოძრაობების ვიდეოები მრავლად გვხვდება. ამჯერად კი ის საჯაროდ გამოჩნდა როგორც ფოტომოდელი. მისი ფოტოსესია ერთ-ერთმა ბრენდულმა მალაზიამ გააერცვლა. „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, როგორ აღმოჩნდა სამრეკლოელი ახალგაზრდა მოდელის როლში და რატომ იყო მისთვის ეს სფერო საინტერესო?**

**ილია ცოფურიშვილი:** „ახლად გახსნილი იყო ეს მალაზია, როცა პირველად შევიძინე პროდუქცია და ამის შემდეგ ვთანამშრომლობ. ჩემი ვიზუალით

დაინტერესდნენ და გადალება შემომთავაზეს. როცა თბილისში ვარ, მიღებენ ხოლმე და საზღვარგარეთაც სადაც დავდივარ, ამ მოდელს იქ ვარეკლამებ.

ვფიქრობ, გარეგნობაც ასე თუ ისე ხელს მინყობს, მომწონს თანამედროვე ჩაცმის სტილი, ჩემი გემოვნებით, როცა ამის საშუალება მაქვს, ვარჩევ სამოსს. სწორედ ასეთი მალაზია „რისტორი“ აღმოვაჩინე თბილისში, ქართველი დიზაინერის ხელით შექმნილი სხვადასხვა დახვეწილი და გემოვნებიანი ლუქები.

ქართული პროდუქციით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მთელი საქართველოს მასშტაბით ჩემს გემოვნებაში მხოლოდ ეს მალაზია ჯდება და ყველაფერი მომწონს. არა მარტო ჩემი აზრით, სხვადასხვა გემოვნების ადამიანსაც მოეწონება მათი ტანსაცმელი და პროდუქცია როგორც ხარისხით, ისე დიზაინით, ფასებით მისაღებად.

რაც ფოტოებში მაცვია, ის ტანსაცმელი ჩემია და როცა გავსვლით შოუებზე დავდივარ, სულ თან დამაქვს. ახლაც ამ კუთხით ვარ წასული თურქეთში. ყველა ადამიანს თავის სტილი და გემოვნება აქვს. მე ასეთი სტილი და გემოვნება მაქვს. არაფერი განსაკუთრებული, როცა რისი საშუალება მქონდა, იმის მიხედვით ვიცვამდი. ფოტო-სტუდიამაც მიღებენ ხოლმე და როცა სხვაგან მივდივარ, ამ მალაზიის ტანსაცმლით მეც ვიღებ ფოტოებს. თუმცა, საზღვარგარეთ მოხალისეობრივად, ჩემი სურვილითა და საკუთარი რესურსით ვიღებ ფოტოებს. ამ მალაზიაში წარმოადგენილი ტანსაცმელი, ქართველი დიზაინერის მიერაა შექმნილი.

ამ ეტაპზე არ ვფიქრობ პოდიუმზე გამოსვლაზე. ბოლო ხანს ძირითადად წასული ვარ საქართველოდან და არ მიხერხდება. გააჩნია ფოტოსესიას და ჩაცმულობას. ისეთს არაფერს ვიცვამ, რომ საზოგადოებამ ცუდად მიიღოს. პოპულარობის გამო არ ვთანხმდები ფოტოსესიებს. ისეთს არაფერს არ ვაკეთებ, რომ ხალხის უარყოფით რეაქციაზე ვიდარდო და იმაზე ვიფიქრო, სწორად გაიგებენ თუ არა. ზოგადად ყველას თავისი

აზრი და შეხედულებები უნდა ჰქონდეს, ხალხის აზრზე სიარული ადამიანს ვერ განავითარებს. იმიტომ რომ, როგორი კარგიც არ უნდა იყო და როგორი კარგიც არ უნდა აკეთებდე, ვილაც კრიტიკოსი გამოჩნდება, ვისაც არ მოეწონები და მიუღებელი იქნები.

**– პროექტ „ნიჭიერში“ სამრეკლოდან ორი ახალგაზრდა მონაწილეობდით, შენ ფინალში ვერ მოხვდი, დავით ლეკაშვილს კი ტრაქტორით შესრულებულმა ნომერმა გამარჯვება მოუტანა. როგორ ფიქრობ, რატომ არ გამარტოლა?**

– საკუთარ თავზე არ მიყვარს ლაპარაკი და ჩემი ნომრის შეფასებისგანაც თავს შევიკავებ. ხალხმა შეაფასოს, როგორ მოეწონათ გამოსვლა. ჩემი „ნიჭიერში“ გამოსვლის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ საზოგადოებისთვის ხმა მიმეწვდინა ჩემი მეგობრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რათა ფინანსურად დახმარებოდნენ. ჩემი მთავარი მიზანი ეს იყო და გავაგრძელებდი და გადავიდოდი თუ არა შემდეგ ტურში, ეგ მეორე ხარისხოვანი იყო.

რაც შეეხება ჩვენი რაიონიდან კიდევ ერთ მონაწილეს, პირიქით, გამიხარდა, რომ ასე წარმატებით ფინალამდე მივიდა და გაიმარჯვა. არავისი წარმატება არ შემეშურდება!.. პირიქით, მითუმეტეს ორმაგად სასიხარულოა საკუთარი რაიონის მცხოვრების წარმატება. დავით ლეკაშვილს ვიცნობ, ერთი სოფლიდან ვართ, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, როგორც მასსოვს 1 წლით დიდია ჩემზე, ზედა კლასში სწავლობდა, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ გვექონია. პროექტში შესვლის დღიდანაც მასთან გადაკვეთა არ მქონია. არც ქასთინგზე არ მინახავს, როგორც ჩანს



სხვადასხვა დროს გვექონდა გადაღებები. მისთვის „ნიჭიერის“ ფინალში გამარჯვება არ მიმილოცია.

**– რას გაძლევს საზღვარგარეთ წარმოდგენები და რითი განსხვავდება ქართული სცენისგან?**

– საზღვარგარეთ პირველ რიგში გამოცდილებას, საყვარელი საქმის გაკეთების შანსს და ბოლოს ანაზღაურებას აღვნიშნავ. საკუთარი საქმის სიამოვნებით კეთება გამომცდილებაა და თან ფულიც მოდის. საქართველოში არც ინტერესია ამ სფეროში და არც ანაზღაურება, ამიტომ მიწვევს ხოლმე საზღვარგარეთ წასვლა და ჩემი საქმის სხვაგან კეთება. 4 ქვეყანაში ვიყავი მეგობრებთან ერთად, ჯგუფურადაც გამოვდივარ და სოლო ნომრებიც მაქვს. საუდის არაბეთში, ეგვიპტეში, ბულგარეთსა და თურქეთში საკმაოდ ხშირად დავდივარ.

**– სვირინგებს რის მიხედვით არჩევ და რას გამოხატავ ამით?**


– სვირინგების ინტერესი 18-19 წლის ასაკიდან გამიჩნდა და ზოგი სვირინგით ჩემს შინაგან სამყაროს და სათქმელს გამოვხატავ, ცხოვრებისეული გამოცდილება და განვლილი გზა, ზოგი ტატუ უბრალოდ სილამაზის გამო მაქვს, რომელიც მომწონს. კიდევ ბევრი რამ მინდა დავიხატო, ვიცი ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ჩემი ახლო მეგობარი არის ტატუ არტისტი და უფასოდ მახატებს ხოლმე. ეს სურვილის ასრულებას მიაღწევს.

ილია მარტყოფლიშვილი



## ბექა ხუზარაშვილს დახმარება ესაჭიროება!

არხილოსკალოელი 25 წლის ბექა ხუზარაშვილი ზემო ქედში, ქსნელების უბანში, გასული წლის 3 ნოემბერს მომხდარი ავტოავარიის შემდეგ სიცოცხლისთვის იბრძვის. უბედური შემთხვევის შედეგად ქალასარქველის მოტეხილობა მიიღო, 45 დღიანი კომის შემდეგ კი მას მენინგიტი განუვითარდა, აღენიშნებოდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა და შეშუპება. სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, ახლა სასწრაფოდ ესაჭიროება ქალასარქველის აღდგენითი ოპერაცია



და რეაბილიტაციის კურსი, რომელიც დიდ ფინანსებს ითხოვს. ბექა 6 თვეა ლოგინსაა მიჯაჭვული, გადის ძვირადღირებულ მკურნალობას, რამაც ოჯახის ფინანსური მდგომარეობა დაამძიმა. საზოგადოების დახმარების გარეშე ბექა ფეხზე დადგომას ვერ შეძლებს. დახმარების მსურველებს შეუძლიათ ნებისმიერი თანხა ჩარიცხონ.

მიმღები: ლიანა მუშლაძე (დედა)  
პირადი ნომერი 14001022534  
საქართველოს ბანკი: GE16BG000000162449623;  
თი-ბი-სი: GE42TB7603445064300057

ამინდი				დედოფლისწყვილი				წყარო			
ორშაბათი 08.05	სამშაბათი 09.05	ოთხშაბათი 10.05	ხუთშაბათი 11.05	პარასკევი 12.05	შაბათი 13.05	კვირა 14.05					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21°	9°	18°	9°	19°	9°	18°	9°	16°	9°	15°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჰანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანდაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყვარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყვაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.  
**გაზეთის გამომწერა ნელინაძე – 20 ლარი**